



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49. 49233283

თარიღი:24/11/2023

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) მიერ სამსახურებრივი ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებს (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით უფლება აქვთ გამოიყენონ სამსახურებრივი ავტომანქანები, რისთვისაც გამოეყოფათ საწვავი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია:

1. განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) მიერ სამსახურებრივი ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის საწვავის ყოველთვიური ხარჯვის ლიმიტები:
  - ა) საკრებულოს თავმჯდომარე) - KIA SELTOS (ს/ნ KNAEP81AKN7344672 )- 600 ლიტრი;
  - ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - FIAT TIPO (ს/ნ ZFACF8AP5M6W70952, სახ.ნომერი FS157SS) --500 ლიტრი.
2. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) მიერ სამსახურებრივი ავტომანქანის, ასევე ავტომანქანის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის N 72 (გ-49.49221752) განკარგულება.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზ ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

